საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

ადამიანის უფლებების და სამართლის უზენაესობის დასაცავად

www.gyla.ge

2025 წლიური ანგარიში

გამოცემაზე პასუხისმგებელი პირები: ნონა ქურდოვანიძე, ხათუნა ყვირალაშვილი

დიზაინი: თეონა კერესელიძე

სათავო ოფისი
თბილისი, ჯ. კახიძის ქ. №15, 0102
ტელ: + (995 32) 2936101 / 2952353
ელფოსტა: gyla@gyla.ge
ვებგვერდი: www.gyla.ge

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2025

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

ადამიანის უფლებების და სამართლის უზენაესობის დასაცავად

2025 წლიური ანგარიში

სარჩევი

თავმჯდომარის მისასალმებელი სიტყვა	6
ვინ ვართ და რას ვაკეთებთ	9
საიას დემოკრატიის დამცველის ჯილდო გადაეცა	10
მედიამონიტორინგი	11
სამართლებრივი დახმარება	13
ადამიანის უფლებების დაცვა	29
დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა	35
გამოცემები	39
ვიზიტები, შეხვედრები, პრეზენტაციები	42
ფონდების მოძიება და ფინანსური ანგარიში	45
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მმართველობის ორგანოები	49

საიას წევრებო, კოლეგებო, მეგობრებო,

2025 წლის დასასრულს, როდესაც საიას საქმიანობას ვაჯამებთ, პირველ ყოვლისა, მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ამ ორგანიზაციის თანამშრომლებს – ადამიანებს, რომლებიც არადემოკრატიული და რეპრესიული კანონების ამოქმედების პირობებშიც შეუპოვრად აგრძელებენ გამორჩეულ საქმიანობას, ყოველდღიურად ამტკიცებენ მაღალ პროფესიონალიზმს და საიას ღირებულებების ერთგულებას.

2025 წელი მრავალი გამოწვევით გამოირჩეოდა. ეს იყო წელი, როდესაც საიას მოუწია ბრძოლა არა მხოლოდ მოქალაქეთა, არამედ, ასევე, საკუთარი ორგანიზაციის გაერთიანების თავისუფლებისა და მთლიანად სამოქალაქო სივრცის დასაცავად, დემოკრატიის გადასარჩენად. 2024–2025 წლებში „ქართული ოცნების“ მიერ მიღებულმა რეპრესიულმა და არადემოკრატიულმა კანონებმა, რომლებიც ზღუდავს საერთაშორისო დაფინანსების მიღებას და მოითხოვს არასამთავრობო ორგანიზაციების „უცხო ქვეყნის აგენტებად“ მონიშვნას, დამოუკიდებელი სამოქალაქო სექტორი განადგურების ზღვარზე მიიყვანა. სამწუხაროდ, საია და მისი პარტნიორი ორგანიზაციები ანტიკორუფციული ბიუროს მონიტორინგისა და ზეწოლის სამიზნეები გახდნენ. თუმცა, ამის მიუხედავად, ჩვენ შეუპოვრად ვდგავართ ჩვენი პრინციპების დასაცავად.

სირთულეების მიუხედავად, 2025 წელს ჩვენ ერთად ბევრ მნიშვნელოვან შედეგს მივაღწიეთ. სტრატეგიულმა სამართალწარმოებამ, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების დარღვევის ფაქტებზე რეაგირებამ, უსამართლოდ დაკავებული, ნაწამები და დაჯარიმებული პირების დაცვამ, პოლიტიკური ნიშნით დაკავებულ პირთა საქმეების მონიტორინგმა, პირველი პოლიტპატიმარი ქალის, მზია ამაღლობელის საქმეზე მუშაობამ, დემოკრატიული ინსტიტუტების გადასარჩენად განხორციელებულმა საქმიანობამ და სამართლიანობის დაცვის 31-წლიანმა ტრადიციამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რატომ ღირს ბრძოლა.

ეს იყო აღიარების წელიც. 2025 წელს საია გახდა დემოკრატიის დამცველის ჯილდოს მფლობელი. ხსენებული ჯილდო, რომელიც ეუთოს მუდმივმოქმედი საბჭოს რვა წევრმა სახელმწიფომ ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის განმტკიცებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის საიას გადასცა, ჩვენი ერთობლივი ძალისხმევის შედეგია. ეს არის საერთაშორისო მხარდაჭერის მკაფიო გამოხატულება იმ პირობებში, როდესაც საქართველოში სამოქალაქო სივრცე მნიშვნელოვნად შეიზღუდა. ეს მხარდაჭერა ჩვენთვის დამატებითი მოტივაციაა, რომ კიდევ უფრო გამძლედ და შეუპოვრად ვიბრძოლოთ ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის დასაცავად.

საია ამაყად აგრძელებს იმ საქმეს, რომელიც 31 წლის წინ დაიწყო.

ასე იქნება მომავალშიც.

პატივისცემით,

ნონა ქურდოვანიძე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე

საიას ოფისები



თბილისის ოფისი – დაარსდა 1994 წელს

ქუთაისის ფილიალი – დაარსდა 1996 წელს

ოზურგეთის ოფისი – დაარსდა 2001 წელს

თელავის ოფისი – დაარსდა 2002 წელს

აჭარის ფილიალი – დაარსდა 1995 წელს, ფუნქციონირება შეაჩერა 2025 წლის ივნისიდან

რუსთავის ოფისი – დაარსდა 1995 წელს, ფუნქციონირება შეაჩერა 2025 წლის ივნისიდან

გორის ოფისი – დაარსდა 2000 წელს, ფუნქციონირება შეაჩერა 2025 წლის ივნისიდან

ზუგდიდის ოფისი – დაარსდა 2014 წელს, ფუნქციონირება შეაჩერა 2025 წლის ივნისიდან

დუშეთის ოფისი – დაარსდა 2002 წელს, ფუნქციონირება შეაჩერა 2024 წლის სექტემბრიდან

ვინ ვართ და რას ვაკეთებთ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) წევრობაზე დაფუძნებული, ადამიანის უფლებებისა და სამართლის უზენაესობის დამცველი ორგანიზაციაა, რომელიც 450-მდე წევრს აერთიანებს.

საია 1994 წელს დაფუძნდა და მას შემდეგ თანდათან აფართოებდა სამოქმედო არეალს, მათ შორის, მთელი ქვეყნის მასშტაბით 9 ოფისის მეშვეობით საქმიანობდა.

2024-2025 წლებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შემზღუდველი არადემოკრატიული საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედების შედეგად, 2025 წლის ივნისიდან ორგანიზაციის რეგიონული ოფისების ნაწილში საქმიანობა დროებით შეჩერებულია. ამჟამად საია 4 ოფისის მეშვეობით აგრძელებს ქვეყანაში სამართლის უზენაესობის დამკვიდრებას და ადამიანის უფლებების დაცვას.

შინაარსობრივ საქმიანობას საია სამი პროგრამული მიმართულების ფარგლებში ახორციელებს. ეს პროგრამებია:

- **სამართლებრივი დახმარების პროგრამა**
- **ადამიანის უფლებების დაცვის პროგრამა**
- **დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამა**

წარმოდგენილი 2025 წლის ანგარიში ასახავს საიას საქმიანობას 2024 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2025 წლის 1-ელ ნოემბრამდე პერიოდში.

საიას დემოკრატიის დამცველის ჯილდო გაეცა

2025 წლის 8 აპრილს ეუთოს მუდმივმოქმედი საბჭოს 8 წევრი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას (საია), საქართველოში ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის განმტკიცებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, დემოკრატიის დამცველის ჯილდო გადასცეს.

ეს გადაწყვეტილება მიიღეს ეუთოს მუდმივმოქმედი საბჭოს წევრი შემდეგი ქვეყნების წარმომადგენლობებმა: შვედეთი, შვეიცარია, კანადა, დანია, მონტენეგრო, ნიდერლანდები, გაერთიანებული სამეფო და ამერიკის შეერთებული შტატები.

დემოკრატიის დამცველის ჯილდო 2016 წელს დაარსდა. ის გადაეცემა იმ ადამიანებსა თუ ორგანიზაციებს, რომლებიც განსაკუთრებულად გამოირჩევიან თავიანთი საქმიანობით დემოკრატიის პოპულარიზაციისა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში. ჯილდო ეფუძნება ჰელსინკის საბოლოო აქტის, პარიზის ქარტიის, ეუთოს სხვა პრინციპებისა და ვალდებულებების სულისკვეთებას.

იმ ფონზე, როდესაც საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების სივრცე დღითიდღე ვიწროვდება, ამგვარ საერთაშორისო მხარდაჭერას საიასთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და დამატებითი სტიმულია ადამიანის უფლებების, დემოკრატიის დაცვისთვის ბრძოლაში.

მედიამონიტორინგი

საია სოციალურ მედიაში



მედიამონიტორინგი

მედიაგაშუქება



ჯამში - 3641



1 სამართლებრივი დახმარება

პროგრამის პრიორიტეტები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სამართლებრივი დახმარების პროგრამა საანგარიშო პერიოდში შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებებით მუშაობდა:

- იურიდიული დახმარება
- სტრატეგიული სამართალწარმოება
- აღსრულების მექანიზმების გამოყენება
- სამართალწარმოების შედეგად გამოკვეთილ სისტემურ პრობლემებზე რეაგირება

საანგარიშო პერიოდში საიამ სამართლებრივი დახმარება გაუწია 6 560 პირს, აქედან:



გაწეული კონსულტაციები ტიპების მიხედვით

3166 პირადი

2425 სატელეფონო

373 ონლაინ

569 სამართლებრივი დოკუმენტი

27 გასვლითი

საანგარიშო პერიოდში საიამ 27 საქმე მოიგო

საერთო სასამართლოებში წარმატებით დასრულებული საქმეების სტატისტიკური მონაცემები:

ამჟამად საიას წარმოებაშია 354 საქმე



სამართლებრივი დახმარების ქსელი

არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი დახმარების ქსელი აგრძელებს მოქალაქეების სამართლებრივ დახმარებას.

ქსელის ცხელ ხაზზე 19 ნოემბრიდან 10 სექტემბრამდე პერიოდში შემოსული ინფორმაციის მიხედვით, **2 000-მდე პირის** მიმართ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება სხვადასხვა საფუძვლით, შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

544 პირი დააკავეს ადმინისტრაციული წესით.

458 დაკავებულის მონახულება შეძლეს ქსელის ადვოკატებმა დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

1400-მდე პირს დაეხმარნენ ქსელის ადვოკატები მათ წინააღმდეგ გამოცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრებაში.

ქსელის ცხელ ხაზზე შემოსულია **9 000-ზე მეტი ზარი**.

სამართლებრივი დახმარების ქსელი სატელეფონო რეჟიმში იღებს შეტყობინებებს დაკავებულთა და დაჯარიმებულთა შესახებ. ასევე, ქსელის თანამშრომლები უწყვეტ რეჟიმში უწევენ კონსულტაციას დაინტერესებულ პირებს სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სტრატეგიული სამართალწარმოება სამოქალაქო საზოგადოების და მედია ორგანიზაციების წინააღმდეგ მოქმედ შემზღუდველ კანონებთან დაკავშირებით

2024-2025 წლებში „ქართულმა ოცნებამ“ სამოქალაქო საზოგადოების და მედია ორგანიზაციების წინააღმდეგ მიიღო და აამოქმედა არაერთი შემზღუდველი კანონი, რომელთა მიზანი კრიტიკული სამოქალაქო საზოგადოების და მედიის ხმის ჩახშობაა. ამ კანონებისა და მათი რეპრესიული აღსრულების შესაჩერებლად, საიამ დაიწყო სტრატეგიული სამართალწარმოება როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, ისე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

ამ კანონებთან დაკავშირებით საიამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 2 საქმე გაგზავნა:

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და სხვები საქართველოს წინააღმდეგ („რუსულ კანონთან“ დაკავშირებით წარდგენილი საჩივარი)

2024 წლის 17 ოქტომბერს „რუსულ კანონსა” და მის მიერ გამოწვეულ მძიმე შედეგებზე საჩივრით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს 16-მა მედიაორგანიზაციამ, 120-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ და 4-მა ფიზიკურმა პირმა მიმართა. საქმის განხილვა სასამართლომ უპრეცედენტოდ მოკლე ვადაში დაიწყო. მან უკვე მიიღო სახელმწიფოს პასუხი საჩივართან დაკავშირებით. შემდეგ ეტაპზე იუსტიციის სამინისტროს კვლავ მოუწევს წერილობითი მოსაზრებების წარდგენა და მომჩივნების წერილობით არგუმენტაციაზე პასუხის გაცემა.

2025 წლის 22 სექტემბერს საიამ და მომჩივანმა ორგანიზაციებმა სასამართლოს მიაწოდეს დეტალური ინფორმაცია შემზღუდველი კანონების მიღების, მათი რეპრესიული აღსრულების, სამოქალაქო სექტორის დევნისა და ამ კუთხით გაუარესებული მდგომარეობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ „რუსულ კანონთან“ დაკავშირებით 2024 წელს საიამ, სხვა მომჩივან ორგანიზაციებთან ერთად, ასევე წარადგინა სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელსაც საქმე ამ დრომდე არ განუხილავს და არც გადაწყვეტილება მიუღია.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (ე.წ. FARA-ს წინააღმდეგ წარდგენილი საჩივარი)

საიამ, „სტუდია მონიტორმა“ და „საქართველოს ამბებმა“ მიმდინარე წელს, FARA-ს რეგულაციების ევროპულ კონვენციასთან შეუსაბამობის გამო, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართეს. საჩივარში აღნიშნულია, რომ ე.წ. FARA და ის მსუსხავი ეფექტი, რომელიც მას ახლავს, მათ შორის, სამოქალაქო სექტორის რეპუტაციის სტიგმატიზება, უცხოური დაფინანსების მიღების შესაძლებლობის მოსპობა, ორგანიზაციებისთვის რეგისტრაციის ვალდებულების დაკისრება, თვითნებური შემოწმება და მონიტორინგი, რასაც თან არ ახლავს ეროვნულ დონეზე უფლებების დაცვის ეფექტიანი, ქმედითი საშუალებები, არღვევს ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-8, მე-10, მე-11, მე-13, მე-14 და მე-18 მუხლებით გარანტირებულ უფლებებს.

საიამ გაეროს სპეციალურ მომხსენებელს მიმართა

მოსამართლეებისა და იურისტების დამოუკიდებლობის საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებლისთვის გაგზავნილ მიმართვაში საიამ ხაზი გაუსვა ბოლო პერიოდში ორგანიზაციის და მისი ადვოკატების მიმართ პროფესიული მოვალეობების შესრულებისას გამოვლენილი შევიწროების, დაბრკოლებების შექმნისა და დაშინების შემთხვევებს. გარდა ამისა, მიმართვაში აღწერილია საიას ცენტრალურ ოფისზე 2024 წელს განხორციელებული ვანდალური თავდასხმის ფაქტები, რომლებზეც შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები დღემდე არ რეაგირებენ, რითაც, ფაქტობრივად, უარს ამბობენ კანონით დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი საჩივრები

საკონსტიტუციო სასამართლოში საიამ 5 სარჩელი წარადგინა:

„უცხოეთის აგენტის რეგისტრაციის აქტის“, ე.წ. FARA-ს არაკონსტიტუციურობა

2024 წლის 20 ივნისს საიამ, „სტუდია მონიტორთან“ და „საქართველოს ამბებთან“ ერთად, საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა „უცხოეთის აგენტის რეგისტრაციის აქტი“ და სისხლის სამართლის კოდექსის 355[2]-ე მუხლი. საია დავობს, რომ მიღებული რეგულაციები არ არის განჭვრეტადი და ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 31-ე მუ-

ხლის მე-9 პუნქტს. საიას ასევე მოთხოვნილი აქვს გასაჩივრებული მუხლების მოქმედების შეჩერება დავის გადაწყვეტამდე.

ე.წ. FARA-ს აღსრულების მიზნით მიღებული კანონქვემდებარე აქტის არაკონსტიტუციურობა

საიამ, „სტუდია მონიტორთან“ და „საქართველოს ამბებთან“ ერთად, 2025 წლის 30 ივნისს საკონსტიტუციო სასამართლოში, დამატებით, კიდევ ერთი სარჩელი წარადგინა, რომლითაც გასაჩივრდა ანტიკორუფციული ბიუროს მიერ ე.წ. FARA-ს აღსრულების მიზნით მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. საია ასევე ითხოვს გასაჩივრებული მუხლების მოქმედების შეჩერებას დავის გადაწყვეტამდე.

გრანტების შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების შედეგად დადგენილი მთავრობის თანხმობის მექანიზმის არაკონსტიტუციურობა

2025 წლის 18 აგვისტოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაარეგისტრირა საიას და „სტუდია მონიტორის“ სარჩელი, რომელიც ეხება მთავრობის უფლებამოსილებას, გასცეს თანხმობა არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების მიერ გრანტების მიღებასა ან გრანტის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანაზე. საიას მოსაზრებით, არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობის მიზნები უნდა განსაზღვრონ მისმა დამფუძნებლებმა, წევრებმა და არა – სახელმწიფომ. მიღებული რეგულაციებით, მთავრობას მიეცა განუსაზღვრელი უფლებამოსილება, ჩაერიოს ორგანიზაციების კონსტიტუციის 22-ე მუხლით გარანტირებულ გაერთიანების თავისუფლებაში.

გრანტების შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილებებით განსაზღვრული მონიტორინგის მექანიზმის არაკონსტიტუციურობა

2025 წლის 1-ელ ოქტომბერს საიამ საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა „გრანტების შესახებ“ კანონის მე-6[1] მუხლი, რომლის საფუძველზეც, ანტიკორუფციულმა ბიურომ არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის, საიას წინააღმდეგ 2025 წლის სექტემბერში მასობრივი მონიტორინგის პროცესი დაიწყო. „გრანტების შესახებ“ კანონის სადავო ნორმა ანტიკორუფციულ ბიუროს ანიჭებს განუზომელ უფლებამოსილებას, სასამართლოს თანხმობით, არასამთავრობო ორგანიზაციიდან, ბანკებიდან, ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულებიდან გამოითხოვოს განსაკუთრებული კატეგორიის და სხვა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციები. გარდა ამისა, ანტიკორუფციულმა ბიურომ ორგანიზაციებს დაუდგინა სამდღიანი ვადა დიდი მოცულობის ინფორმაციის წარსადგენად. საია ამტკიცებს, რომ სადავო ნორმები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ გაერთიანების თავისუფლებას.

ამასთანავე, არაგონივრულად მცირე ვადის დაწესება არღვევს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ უფლებას ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე საქმის სამართლიანად განხილვის თაობაზე.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონის არაკონსტიტუციურობა

მიმდინარე წელს საიამ და მედიის განვითარების ფონდმა საკონსტიტუციო სასამართლოში წარადგინეს სარჩელი, რომელიც „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონს ეხება. ხსენებული კანონი ითვალისწინებს არასამთავრობო ორგანიზაციისა და მისი ხელმძღვანელისთვის გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტის სტატუსის მინიჭებას. სწორედ ეს ნორმა გასაჩივრდა კონსტიტუციის მე-17 მუხლით გარანტირებულ გამოხატვის უფლებასა და 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ გაერთიანების თავისუფლებასთან მიმართებით.

ამ კანონის თანახმად, თუ არასამთავრობო ორგანიზაცია საარჩევნო კამპანიის პერიოდში გააკრიტიკებს პარლამენტის მიერ განსახილველ კანონპროექტს, ანტიკორუფციული ბიურო მას საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტად ცნობს. შედეგად კი, ორგანიზაციას, კენჭისყრის შედეგების შეჯამებამდე, უცხოური დაფინანსების მიღება ეკრძალება.

წარმატებით დასრულებული საქმეები

საია საანგარიშო პერიოდშიც აგრძელებდა მოქალაქეების სამართლებრივ დახმარებას და სტრატეგიულ სამართალწარმოებას. ამ წელს ორგანიზაციამ არაერთი საქმე მოიგო. გარდა ამისა, შეიტანა ახალი, განსაკუთრებული მნიშვნელობის სარჩელები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოში. საანგარიშო პერიოდში **საია სამართალწარმოებას აგრძელებდა 354 საქმეზე.**

მოგებულ საქმეებს შორისაა:

„კაბელების საქმეზე“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა დაადგინა

2025 წლის 11 თებერვალს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საიას მიერ მომჩივნების სახელით წარდგენილ საქმეზე „ღლონტი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ” (ე.წ. კაბელების საქმე) და დაადგინა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას მომჩივნებმა თავი დაიცვეს გაფლანგვის ბრალდების ფა-

რგლებში. საბოლოო ჯამში, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ეს ბრალდება უსაფუძვლოდ ცნო დანაშაულის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტის არარსებობის გამო. ახალი განაჩენის გამოტანამდე კი თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ გააფრთხილა მომჩივნები, რომ შეიძლებოდა, მათი ბრალდება გადაკვალიფიცირებულიყო. შესაბამისად, მომჩივნებმა მხოლოდ მაშინ შეიტყვეს ფაქტების სამართლებრივი შეფასების შესახებ, როდესაც მათ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ჩაჰბარდათ. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მსგავს გარემოებებში დაცვის მხარეს უნდა ჰქონდეს რეაგირების პრაქტიკული, დროული და ეფექტიანი შესაძლებლობა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აგვისტოს ომის გაშუქებისას გარდაცვლილი ჰოლანდიელი ჟურნალისტის საქმეზე რუსეთის მხრიდან სიცოცხლის უფლების პროცედურული ნაწილის დარღვევა დაადგინა

2025 წლის 7 ოქტომბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „სტორიმანს-ფერჰულსტი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ“ (no. 26302/10) გადაწყვეტილება გამოაქვეყნა. სასამართლომ დაადგინა, რომ სტან სტორიმანსის წინააღმდეგ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) პროცედურული ნაწილი.

სტან სტორიმანსი, რომლის მეუღლე და შვილებიც იყვნენ მომჩივნები საქმის ფარგლებში, 2008 წლის 12 აგვისტოს, დაახლოებით, დილის 10:45 საათზე, ქალაქ გორში, საავარაუდო სარაკეტო დარტყმის შედეგად დაიღუპა. 2008 წლის 25 აგვისტოს ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრმა ინციდენტის გამოსაძიებლად სპეციალური მისია დანიშნა. იმავე წლის 20 ოქტომბერს გამოქვეყნდა ნიდერლანდების საგამოძიებო მისიის ანგარიში, რომლის მიხედვითაც, გორში სარაკეტო დარტყმა „ისკანდერის“ ტიპის რაკეტით განხორციელდა. ასევე, ანგარიშში მითითებული იყო, რომ ამ ტიპის რაკეტა მხოლოდ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებაში მოიპოვებოდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილი, რაც საქმის ეფექტიანი გამოძიების ვალდებულების შეუსრულებლობას გულისხმობს. სასამართლომ რუსეთის ფედერაციას, მომჩივნების სასარგებლოდ, მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, 10 000 ევროს ოდენობით კომპენსაციის გადახდა დააკისრა.

საკონსტიტუციო სასამართლომ გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების გასაჩივრების წესთან დაკავშირებით საიას სარჩელი დააკმაყოფილა

საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „გიორგი ფუტკარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექ-

სის 112-ე მუხლის მე-8 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომლის მიხედვითაც, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განჩინება სააპელაციო სასამართლოში საჩივრდება ჩხრეკის (ამოღების) დასრულებიდან 48 საათში და არა – მხარისთვის რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განჩინების ჩაბარებიდან 48 საათში. სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთ დროს განჩინების გასაჩივრების ვადა აითვლება არა ჩხრეკის ან ამოღების პროცესის დასრულების მომენტიდან, არამედ განჩინების ჩაბარებიდან.

საიას დახმარებით, სამედიცინო დაწესებულებას ბავშვისთვის გაწეული არასწორი/არაკვალიფიციური სამედიცინო მომსახურების შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება დაევალა

საიამ მოიგო საქმე, რომელიც 3 წლის ბავშვისთვის არასწორი/არაკვალიფიციური სამედიცინო მომსახურების გაწევას და ამის შედეგად მიყენებულ ზიანს შეეხებოდა. ბავშვი კლინიკაში მიიყვანეს ყურიდან უცხო სხეულის (პლასტმასის ბურთულა) ამოსაღებად. მანიპულაციის დროს ექიმს ყურის სასმენ მილში სამედიცინო იარაღი ჩაუტყდა, რომლის ამოღებაც ვეღარ მოხერხდა. შედეგად, ბავშვს დაუზიანდა სასმენი მილი, განუვითარდა სახის ასიმეტრია და დაუქვეითდა სმენა. საიას სამართლებრივი დახმარების შედეგად, სამედიცინო დაწესებულებას, ბავშვის სასარგებლოდ, მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება დაეკისრა.

სასამართლომ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის გამო, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მორალური ზიანის ანაზღაურება დააკისრა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან დისკრიმინაციული საფუძვლით გაათავისუფლეს. საიას დახმარებით, მან სასამართლოს მიმართა და დავა მოიგო. სასამართლომ დაადგინა, რომ, ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან შედარებით (ეტლით მოსარგებლე შშმ დასაქმებულები, რომლებიც უწყებამ შეფასების წერითი კომპონენტის ვალდებულებისგან გაათავისუფლა), მოსარჩელე აშკარად არათანაბარ პირობებში ჩააყენეს. გარდა ამისა, არსებითად უთანასწორო მდგომარეობაში მყოფი მოსარჩელე (მხედველობის პრობლემის მქონე), იმავდროულად, სხვა დასაქმებულების თანაბარ პირობებში აღმოჩნდა. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა შშმ პირის სამსახურში აღდგენა, განაცდურის სრულად გადახდა და მორალური ზიანის ანაზღაურება 10 000 ლარის ოდენობით.

საიას დახმარებით, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულმა პირმა კულტურის სამინისტროს წინააღმდეგ დავა მოიგო

კულტურის სამინისტროდან რეორგანიზაციის მოტივით გათავისუფლებულმა პირმა, საიას დახმარებით, სასამართლოში დავა მოიგო. დადგინდა, რომ სამინისტრომ არ გაითვალისწინა რეორგანიზაციის პროცესში ჩატარებული ტესტირების შედეგები და გადაწყვეტილება დააფუძნა გასაუბრებას, რომლისთვისაც შეფასების კრიტერიუმები არ იყო განსაზღვრული. კულტურის სამინისტროს მისი სამსახურში აღდგენა და განაცდური ხელფასის ანაზღაურება დაევალა.

კოვიდ პანდემიის პერიოდში პირის სტაციონარში განთავსებისა და მოვლის წესების დარღვევის გამო, სამედიცინო დაწესებულებებს ზიანის ანაზღაურება დაევალათ

კოვიდ პანდემიის დროს მოსარჩელემ, ჯანმრთელობის პრობლემის გამო, კლინიკას მიმართა. მას ჩაუტარდა ტესტი კორონავირუსზე, რომლის შედეგიც იყო „საეჭვო“. ამგვარი პასუხის გამო, „საეჭვო” სტატუსის მიუხედავად, ის ერთ-ერთ მოპასუხე სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს კორონავირუსით ინფიცირებულ პაციენტთან ერთად და პალატაშიც მასთან მოათავსეს.

მოგვიანებით, პირს, მისივე მოთხოვნით, ჩაუტარდა განმეორებითი ტესტი, რომლითაც კოვიდ-19 არ დადასტურდა. თუმცა, ვინაიდან პაციენტის ტრანსპორტირება და ჰოსპიტალიზაცია განხორციელდა კოვიდით ინფიცირებულ პაციენტთან ერთად, კლინიკამ გადაწყვიტა, რომ საჭირო იყო მისი 14-დღიანი იზოლაცია, რომელიც მან ე.წ. კარანტინში გაატარა. საიას დახმარებით, მოსარჩელემ სასამართლოში დავა მოიგო. სამედიცინო დაწესებულებას მისთვის ზიანის ანაზღაურება დაეკისრა.

სასამართლომ ვეგანი პატიმრის მიმართ პენიტენციური სამსახურის მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობა დაადგინა

ვეგანი პატიმარი, რომელიც იკვებებოდა მხოლოდ მცენარეული ცილებით, ცხიმებით და ნახშირწყლებით, 2019 წლის მაისიდან ნოემბრამდე იმყოფებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. პატიმარმა არაერთხელ მიმართა ციხის ადმინისტრაციას და პენიტენციურ სამსახურს, რათა იგი უზრუნველეყოთ ვეგანური საკვებით, თუმცა პრობლემის მოსაგვარებლად არცერთი ქმედითი ნაბიჯი არ გადადგმულა. მან ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს სარჩელით მიმართა. 5-წლიანი სამართალწარმოების პროცესი დასრულდა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომლითაც დადგინდა, რომ პატიმრის მიმართ განხორციელდა დისკრიმინაციული მოპყრობა. შესაბამისად, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს მორალური ზიანის ანაზღაურება დაეკისრა.

ახალი საქმეები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ხმის ფარულობის მასობრივი დარღვევის გამო, საიამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სარჩელი წარადგინა

საია დავობს, რომ დაირღვა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი (თავისუფალი არჩევნების უფლება). საჩივარში აღნიშნულია, რომ არჩევნების დროს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ საკუთარი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შედეგად, მასობრივად დაირღვა კენჭისყრის ფარულობის ფუნდამენტური პრინციპი, შემდგომ კი - საარჩევნო დავების ეფექტიანი მექანიზმებით განხილვის უფლება. საიას საჩივარში ასევე მითითებულია, რომ საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ბლანკეტური დანაწესი, რომელიც მოქალაქეებს საარჩევნო დავაზე საჩივრის წარდგენის შესაძლებლობას უზღუდავს, არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებს.

მზია ამაღლობელის უკანონო პატიმრობა და მის მიმართ ჩადენილი სხვა დარღვევები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაჩივრდა

2025 წლის 28 აპრილს საიამ „ბათუმელებისა" და „ნეტგაზეთის" დამფუძნებლის, უკანონო პატიმრობაში მყოფი მზია ამაღლობელის სახელით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საჩივრით მიმართა.

საჩივარში დასაბუთებულია, რომ მზია ამაღლობელის მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ისეთი ფუნდამენტური უფლებები, როგორებიცაა: თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (კონვენციის მე-5 მუხლი), საქმის სამართლიანი განხილვის უფლება (კონვენციის მე-6 მუხლი), პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება (კონვენციის მე-8 მუხლი), გამოხატვის თავისუფლება (კონვენციის მე-10 მუხლი) - კონვენციის მე-8, მე-10 და მე-13 მუხლებთან ერთობლიობაში (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება), ასევე, დარღვეულია უფლებათა შეზღუდვის გამოყენების ფარგლები (კონვენციის მე-18 მუხლი). სტრასბურგის სასამართლომ სწრაფ ვადაში დააკომუნიცირა საქმე და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მასთან დაკავშირებული შეკითხვებით მიმართა.

საია სამედიცინო და ჯანდაცვის სფეროში მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს სისტემურ ხარვეზებზე დავობს

2025 წლის 20 მაისს საიამ ჯანდაცვისა და სამედიცინო სფეროში არსებული სამართლებრივი ჩარჩოს სისტემური ხარვეზების თაობაზე, მათ შორის, სამედიცინო კვალიფიკაციის ეფექტიანი რეგულირების, ექიმებისთვის სავალდებულო უწყვეტი განათლების პროგრამების, სამედიცინო პრაქტიკული გზამკვლევისა და ეფექტიანი სამედიცინო ექსპერტიზის სისტემის არარსებობით გამოწვეული განგრძობადი ტკივილებისა და სამედიცინო მანიპულაციის გამო, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს პაციენტის სახელით მიმართა.

ევროპულმა სასამართლომ საჩივარი 2025 წლის 1-ელ ივლისს, სწრაფ ვადაში, ყველა მუხლთან მიმართებით დააკომუნიცირა. საჩივარი შეეხება მომჩივნის მიმართ კონვენციის მე-6, მე-8 და მე-13 მუხლების დარღვევას. საია დავობს, რომ სამედიცინო მანიპულაციებმა, რომლებმაც გამოიწვია მომჩივნის პირის ღრუს დაზიანება და სახის ასიმეტრია, რამაც ის იძულებული გახადა, ეტარებინა ნიღაბი და მიეღო ტკივილგამაყუჩებლები, დაარღვია მომჩივნის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მთლიანობა – გარანტირებული კონვენციის მე-8 მუხლით. საჩივარში ასევე მითითებულია, რომ გაჭიანურებული სასამართლო პროცესების შედეგად, დამოუკიდებელი/მიუკერძოებელი მართლმსაჯულების არარსებობის პირობებში, მომჩივნის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება.

ზეპირი მოსმენა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდ პალატაში

2025 წლის 26 თებერვალს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ ზეპირი მოსმენით განიხილა 2019 წლის 20-21 ივნისს, ანტისაოკუპაციო აქციის დროს დაზარალებული მოქალაქეების საჩივრები.

ეს არის პირველი პრეცედენტი საქართველოს ისტორიაში, როდესაც საქმე, მომჩივანთა მოთხოვნით, ევროპული სასამართლოს დიდ პალატას გადაეცა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ზემოხსენებულ საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) პროცედურული ნაწილის დარღვევა ჯერ კიდევ 2024 წლის 7 მაისს დაადგინა. **სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფოს არ უწარმოებია ეფექტიანი გამოძიება,** შესაბამისად, მთავრობას გამოძიების ჩატარება დაავალა, ხოლო დანარჩენ უფლებებთან მიმართებით აღინიშნა, რომ დარღვევები, სუბსიდიარობის პრინციპიდან გამომდინარე, გამოძიების შემდგომ შეფასდება. სასამართლომ გადაწყვეტილებაში არაერთი მნიშვნელოვანი მითითება გააკეთა, სახელმწიფოს განუსაზღვრა ზოგადი ღონისძიებების გატარების ვალდებულება და, იმავდროულად, ხაზი გაუსვა იმ სისტემურ დარღვევებს, რომლებიც შეკრება-მანიფესტაციების დაშლისა და, შემდგომ, გამოძიების პროცესში ვლინდება.

მე-9 წესით გაგზავნილი კომუნიკაციები

საიას ჩართულობით, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში გაიგზავნა 4 ალტერნატიული ანგარიში:

28.04.2025 – MAKARASHVILI AND OTHERS V GEORGIA - საპროტესტო აქციებზე შეკრების თავისუფლებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა

30.04.2025 – TSINTSABADZE GROUP - სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი დანაშაულები

30.04.2025 – TSINTSABADZE GROUP (OCHIGAVA V. GEORGIA, EDZGVERADZE V. GEORGIA, MAMULASHVILI V. GEORGIA)

31.01.2025 – A.D. V GEORGIA - გენდერის სამართლებრივი აღიარების საკითხები



2

ადამიანის უფლებების დაცვა

პროგრამის პრიორიტეტები

ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული ამოცანაა. ორგანიზაცია სწავლობს ამ კუთხით ქვეყანაში არსებულ ვითარებას, აანალიზებს გამოწვევებს და ხელს უწყობს ცვლილებებს.

საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებების დაცვის პროგრამა 4 პრიორიტეტული მიმართულებით მუშაობდა:

- **უფლებების დარაჯის (WATCHDOG) ფუნქციის შესრულება, მათ შორის, უფლებადარღვევების დოკუმენტირება და მათთან დაკავშირებით განცხადებების, შეფასებების მომზადება**
- **ანალიტიკური საქმიანობა**
- **საერთაშორისო ადვოკატირება**
- **იურიდიული განათლების ხელშეწყობა და ცოდნის გაზიარება**

უფლებების საღარაჯოზე (WATCHDOG)

მტკიცებულებებზე დაფუძნებული სწრაფი რეაგირების მიდგომით, გამოქვეყნდა 88 განცხადება/შეფასება ადამიანის უფლებათა დარღვევების თაობაზე მთელი ქვეყნის მასშტაბით. ეს პროცესი ასევე მოიცავდა მძიმე უფლებადარღვევებზე, მათ შორის, წამებისა და არასათანადო მოპყრობის სისტემურ პრაქტიკაზე რეაგირებას, შეკრებების მონიტორინგსა და სისხლის სამართლის პროცესებზე დაკვირვებას.

2024 წლის ნოემბერ-დეკემბერსა და 2025 წლის თებერვალში განსაკუთრებით ხშირი იყო ადამიანის ძირითადი უფლებების მძიმე, სისტემური და სისტემატური დარღვევები, მათ შორის, მშვიდობიანი დემონსტრაციების ძალადობრივი დარბევა და პროტესტის მონაწილეთა წამება. **საია ხელმძღვანელობდა ამ უფლებადარღვევათა დოკუმენტირების პროცესს,** რომელშიც 11 ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია იყო ჩართული.

წამების საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, ქართული კონტექსტის გათვალისწინებით, მომზადდა ნახევრად სტრუქტურირებული, სიღრმისეული კითხვარი. ამ კითხვარის მიხედვით, **ინტერვიუ ჩატარდა 117 რესპონდენტთან, რომლებიც 19 ნოემბრიდან 28 იანვრის ჩათვლით პერიოდში მონაწილეობდნენ საპროტესტო აქციებში, ან მიმდინარე პროტესტის კონტექსტში დაექვემდებარნენ არასათანადო მოპყრობას ან ძალადობას.** ინტერვიუებიდან მიღებული მიგნებები, მტკიცებულების სახით, გამყარებულია, მათ შორის, ფოტო/ვიდეო მასალით და სამედიცინო დოკუმენტაციით. ასევე, ჩატარდა ფოკუსჯგუფი ადვოკატებთან. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით, **21 წერილი გაიგზავნა 10 უწყებაში.**

ანალიტიკური საქმიანობა

ანალიტიკური საქმიანობის ფარგლებში მომზადდა სიღრმისეული კვლევები და ანგარიშები, რომლებიც შეეხება:

- შეკრების თავისუფლებას და საპოლიციო ძალადობას
- ადამიანის უფლებების განსაკუთრებით მძიმე დარღვევებს, მათ შორის, სისტემურ წამებას და არასათანადო მოპყრობას
- გამოხატვის თავისუფლებას
- მედიის თავისუფლებას
- სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან დაკავშირებულ სისტემურ გამოწვევებს
- სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას

მომზადდა 6 ანგარიში/კვლევა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- **2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში საპოლიციო ძალადობის ფონზე სამოქალაქო უფლებების დარღვევები**
- **გამოხატვის თავისუფლება და მედიის საქმიანობის შემზღუდველი კანონმდებლობა**
- **სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგი**
- **ქართული მართლმსაჯულების სისტემის გამოწვევები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების მიხედვით**
- **2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდში გამოვლენილ უფლებადარღვევათა დოკუმენტირება** (დოკუმენტირების პროცესს ხელმძღვანელობდა საია და მასში 11 ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია იყო ჩართული)
- **ანგარიში 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში წამების და არასათანადო მოპყრობის შესახებ** (საიამ, საერთაშორისო და ადგილობრივ უფლებადაცვით ორგანიზაციებთან ერთად (OMCT, Omega Research Foundation, GCRT და PHR) მონაწილეობა მიიღო 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში წამების და არასათანადო მოპყრობის შესახებ ანგარიშის მომზადებაში. ანგარიში დაეყრდნო ფაქტების დამდგენი მისიის მიგნებებს. ეს მისია წამების წინააღმდეგ მსოფლიო ორგანიზაციამ (OMCT), წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭოსა (IRCT) და დამოუკიდებელ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტთა ჯგუფთან (IFEG) ერთად, 2024 წლის 17-24 დეკემბერს თბილისში ქართული ორგანიზაციების, მათ შორის, საიას მხარდაჭერით განახორციელა

მომზადდა 6 ვიდეორგოლი, რომლებიც, მათ შორის, შეეხებოდა: სისტემური წამების ფაქტებს, 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში მიმდინარე სხვა უფლებადარღვევებს, სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას, მედიის საქმიანობის შეზღუდვას, მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ გამოწვევებს და სამოქალაქო სივრცის შევიწროებას.

საერთაშორისო ადვოკატირება

საერთაშორისო ადვოკატირების მიმართულებით, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, მომზადდა **3 ანგარიში** უნივერსალური პერიოდული მიმოხილვისთვის (UPR).

შემუშავდა **8 ანგარიში** ეუთოს ვენის მექანიზმის, გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების და სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტისთვის.

მომზადდა **21 წერილობითი კომუნიკაცია** ეუთოს, ევროპის საბჭოს ინსტიტუტების, გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების და სპეციალური პროცედურებისთვის.

პროგრამის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს **13 საერთაშორისო კონფერენციასა თუ სესიაში,** მათ შორისაა: ადამიანის უფლებების საბჭოს სესიები, ეუთოს ადამიანური განზომილების დამატებითი შეხვედრები, ვარშავის ადამიანური განზომილების კონფერენცია, UNDP-ის, ევროპის იმპლემენტაციის ცენტრის (EIN) კონფერენციის ფარგლებში ორგანიზებული ღონისძიებები.

იურიდიული განათლების ხელშეწყობა და ცოდნის გაზიარება

სამოქალაქო საზოგადოების ადვოკატირების მექანიზმების გაუმჯობესების, იურიდიული განათლების ხელშეწყობისა და მომავალი თაობის უფლებადამცველთათვის ცოდნის გაზიარების მიზნით:

ჩატარდა **2 ტრენინგი** სტუდენტებისთვის

მომზადდა **1 გზამკვლევი** ადამიანის უფლებების დარღვევების დოკუმენტირების შესახებ



3

დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა

პროგრამის პრიორიტეტები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამის მიზანია გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობის ხელშეწყობა ქვეყანაში.

პროგრამა რამდენიმე სტრატეგიული მიმართულებით მუშაობს:

- მართლმსაჯულების სისტემა
- არჩევნები
- საპარლამენტო ცხოვრების გაუმჯობესება
- ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის პრინციპების განმტკიცება
- ეფექტიანი თვითმმართველობის ხელშეწყობა
- ევროინტეგრაცია

საანგარიშო პერიოდში პროგრამის საქმიანობა მოიცავდა სხვადასხვა ტიპის ანალიტიკური დოკუმენტების მომზადებას, ასევე, შეხვედრებს საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან.

მართლმსაჯულება

მართლმსაჯულების მიმართულებით საიამ გამოაქვეყნა:

2 ბლოგი

1 ანალიტიკური ნაშრომი

5 განცხადება
(1 - დამოუკიდებლად, 4 - კოალიციურ ფორმატში)

8 ინფოგრაფიკა

საანგარიშო პერიოდში საია იყო კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ თავმჯდომარის მოადგილე.

არჩევნები

არჩევნების მიმართულებით ორგანიზაციამ გამოაქვეყნა:

3
ანგარიში

30
განცხადება

2
სასამართლოს მეგობრის მოსაზრება

2
ბლოგი

აქედან ერთი წარედგინა საკონსტიტუციო სასამართლოს (ეხებოდა ხმის ფარულობისა და საყოველთაობის პრინციპების დარღვევებს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე), ხოლო მეორე - თბილისის საქალაქო სასამართლოს (ეხებოდა სასამართლოს წარმოებაში არსებულ სარჩელს ცესკოს 2025 წლის 3 აპრილის N22/2025 დადგენილებასთან დაკავშირებით. ამ დადგენილებით საარჩევნო უბნებზე დამკვირვებელთა თავისუფალი გადაადგილება, ამომრჩევლის პირადობის დოკუმენტის დათვალიერება და აღმოჩენილი დარღვევების დოკუმენტირება შეიზღუდა)

საპარლამენტო კონტროლი

ამ მიმართულებით გამოქვეყნდა:

2
ბლოგი

2
ანალიტიკური ნაშრომი

3
განცხადება

1
ანგარიში

გამოცემები

საჯარო სამსახურის „რეფორმის“
დამანგრეველი ეფექტი

„ქართული ოცნების“ პარლამენტის
დროებითი საგამოძიებო კომისიის
საქმიანობა

საქართველოს
პარლამენტის
2024 წლის
არჩევნების
სადამკვირვებლო
მისია
1-ლი აპრილი - 18 ოქტომბერი

2024 წლის 26 ოქტომბრის
საპარლამენტო არჩევნების
შემდგომი პერიოდის
საგარეოსამართლებრივი გარემოს მიმოხილვა

ევროკავშირი
საქართველოსთვის
2025 წლის ცვლილებები
საერთო სასამართლოების
შესახებ ორგანულ კანონში

2024-2025 წლებში აქციების
კონტექსტში დაკავებული პირების
პოლიტიკურად მოტივირებული
საქმეების პირველი ინსტანციის
სასამართლოში დაკვირვების შედეგები

ადამიანის უფლებათა
დარღვევების დოკუმენტირების
პრაქტიკული სახელმძღვანელო

გამოცემები

სამოქალაქო
უფლებები
გზარდი საპოლიციო
ტერორის პირისპირ

ადამიანის უფლებების
ძრიზისი საქართველოში
2024 წლის საპარლამენტო
არჩევნების შემდგომ
2024 წლის 28 ოქტომბერი - 2025 წლის 28 თებერვალი

საქართველოს სასამართლოებში
მიმდინარე სამართალწარმოების შეფასება
ეკრძალე სასამართლოს მიერ
მისცემულ გადაწყვეტილებები

ევროკავშირი
საქართველოსთვის
კანონები სიტყვის წინააღმდეგ

პრევენციული
დაკავება
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა
კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესაბამისობა
ადამიანის უფლებების სტანდარტებთან

საარჩევნო
დავების
ანგარიში
საქართველოს პარლამენტის
2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები

USAID
მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხვადასხვადონეული საქმიანობის
მონიტორინგის ანგარიში

გამოცემები

საარჩევნო
პერიოდის
ანალიტიკური
მიმოხილვა


ევროკავშირი
საქართველოსთვის
საპარლამენტო კონტროლი
მეათე მოწვევის პარლამენტში
მეორე ნაწილი


უმცროსების პენსიების რეგისტრაციის აქტი
დამოუკიდებელი ინსტიტუციების
არარსებობის პირობებში

ცვლილებები
ახალი რეგლამენტით

ძალადობრივი
კანონშემოქმედება
საქართველოში

Publikationen
zur rechtlichen Zusammenarbeit
IRZ

OMCT
UNITED AGAINST TORTURE
GCRT
Briefing note
Torture and Ill-Treatment During Protests and Suppression of Political Dissent in Georgia in November-December 2024
March 2025

ვიზიტები, შეხვედრები, პრეზენტაციები

2024 წლის 13 ნოემბერი, საიას შეხვედრა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე, საელჩოების წარმომადგენლებთან არჩევნებზე ხმის ფარულობის დარღვევასთან დაკავშირებით

2024 წლის 4 დეკემბერი, საიას პრესკონფერენცია ნოემბერ-დეკემბერში განვითარებული მოვლენების და დემონსტრანტების მიმართ გამოყენებული დანაშაულებრივი პრაქტიკის თაობაზე

12 თებერვალი, მზია ამაღლობელის უფლებადამცველების - საიასა და ადვოკატ მაია მწარიაშვილის პრესკონფერენცია პოლიტიკური პატიმრის, მზია ამაღლობელის საქმის დეტალებთან დაკავშირებით

27 თებერვალი, გაეროში Human Rights House Foundation-ის ორგანიზებით გამართული დისკუსია თემაზე „ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში“, რომელშიც საია მონაწილეობდა

ვიზიტები, შეხვედრები, პრეზენტაციები

18 მარტი, ვენაში ეუთოს ადამიანური განზომილების დამატებითი შეხვედრა (OSCE SHDM) საქართველოში მედიის თავისუფლებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მდგომარეობის თაობაზე, რომელშიც საია მონაწილოებდა

6 მაისი, ვენაში ეუთოს ადამიანური განზომილების დამატებითი შეხვედრა (OSCE SHDM II) საქართველოში ადამიანის უფლებათა კრიზისის თაობაზე, რომელშიც საია მონაწილეობდა

14 მაისი, სამოქალაქო საზოგადოების 11 ორგანიზაციის მიერ საერთო დოკუმენტირების ანგარიშის წარდგენა – „ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ“

7 ივლისი, საქართველოში ნიდერლანდების ელჩის, მელინე არაკელიანის ვიზიტი საიაში

ვიზიტები, შეხვედრები, პრეზენტაციები

23 ოქტომბერი, საიას ანგარიშის პრეზენტაცია – „2024-2025 წლებში აქციების კონტექსტში დაკავებული პირების პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკვირვების შედეგები“

15 მარტი, საიას აჭარის ფილიალის 33-ე საერთო კრება

16 მარტი, საიას ქუთაისის ფილიალის 26-ე საერთო კრება

8 ივლისი, საიას იურიდიული დახმარების ცენტრის თანაშემწეებისთვის სეტიფიკატების გადაცემა სტაჟირების წარმატებით დასრულების შემდეგ



4

ფონდების მოძიება და ფინანსური ანგარიში

ფონდების მოძიება და ფინანსური ანგარიში

საანგარიშო პერიოდში საიამ გრანტის (საგრანტო შემოსავლები იმ პროექტებიდან, რომელთა იმპლემენტაციაც ორგანიზაციამ საანგარიშო პერიოდში დაიწყო), შემოწირულებისა და საწევროს სახით, ჯამში, 1,801,586.00 ლარი მიიღო. ეს თანხა, წყაროების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:



საანგარიშო პერიოდში საიაში არაერთჯერად სამუშაოზე დასაქმებული იყო 75 თანამშრომელი, მათ შორის, 5 - რეგიონებში. მათი შრომის ანაზღაურების საერთო ფონდმა შეადგინა 2,761,107.00 ლარი. ერთჯერად მომსახურებაზე ჰონორარი გაიცა 724 ფიზიკურ პირზე - სულ 519,927.00 ლარი.

კერძო პირების მომსახურების ანაზღაურების, ხელფასებისა და ჰონორარების საშემოსავლო გადასახადმა შეადგინა 621,582.00 ლარი.

საანგარიშო პერიოდში საიამ შეიძინა 9,600.00 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები. ამავე პერიოდში შეძენილია 10,680.00 ლარის ღირებულების საოფისე დანიშნულების სხვადასხვა მცირეფასიანი ნივთი.

საიას მიერ ორგანიზებული სემინარებისა და შეხვედრების ჩასატარებლად, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, დაიხარჯა 57,900.00 ლარი.

ორგანიზაციის თანამშრომლების, წევრებისა და მოწვეული სტუმრების მგზავრობის ხარჯებმა შეადგინა 119,888.00 ლარი, ოფისების ქირამ - 38,673.00 ლარი, ხოლო კავშირგაბმულობის ხარჯმა - 34,360.00 ლარი.

საიას მიერ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებზე გაცემულმა ქვეგრანტებმა შეადგინა 377,593.00 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ასოციაციის სახსრებიდან მთლიანად დახარჯულია 3,832,997.00 ლარი, რომელიც, წყაროების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:



საანგარიშო პერიოდში, საიამ სხვადასხვა დონორ ორგანიზაციაში წარსადგენად 2025 წლის 16 აპრილამდე, სანამ მთავრობის თანხმობის გარეშე გრანტის მიღება შეიზღუდებოდა, 16 საგრანტო საპროექტო განაცხადი მოამზადა. აქედან, შემზღუდველი ცვლილებების ამოქმედებამდე (2025 წლის 16 აპრილამდე):



2025 წლის 1-ლი ნოემბრის მდგომარეობით, საია 10 მიმდინარე პროექტის განხორციელებას განაგრძობს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მმართველობის ორგანოები

2025 წლის 1-ლი ნოემბრის მდგომარეობით

გამგეობის წევრები

ნონა ქურდოვანიძე- თავმჯდომარე
თამარ ონიანი- თავმჯდომარის მოადგილე
გიორგი აბულაძე
გიორგი ანთაძე
რევაზ აჭარაძე
ნინო ბაღაშვილი
ლაშა ბექიშვილი
მერი დაუშვილი
იოსებ ედიშერაშვილი
გვანცა ესაკია
შორენა ლოლაძე
დავით ლომთაძე
ეკა მამრიკიშვილი
ანდრანიკ მინასიანი
ვასილ ჟიჟიაშვილი
ნიკოლოზ სიმონიშვილი
გიორგი ტაბატაძე
ფატიმა ჩაფიჩაძე
თამთა წვერაიძე
თამარ ხუბულური
მიხეილ ჯახუა

დირექტორთა საბჭო

ნონა ქურდოვანიძე
(თავმჯდომარე)

სამართლებრივი დახმარების პროგრამა

შორენა ლოლაძე
(დირექტორი)

ადამიანის უფლებების დაცვის პროგრამა

თამარ ონიანი (დირექტორი)

დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამა

ნანუკა ყრუაშვილი
(დირექტორი- 2025 წლის ივლისამდე)

თამარ ხუხია
(დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი)

www.gyla.ge